



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება 096/11

1. ფაქტები

ბრალდებული თ.ქ. და მისი ადვოკატი მ.ჯ. გააძევეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან. განსასჯელის დანარჩენმა ადვოკატებმა, ბრალდებულ თ.ქ.სთან შეთანხმებით, უარი განაცხადეს სასამართლო სხდომაში მონაწილეობის გაგრძელებაზე. საზოგადოებრივი ადვოკატი მ.მ. 2011 წლის 7 ნოემბერს დაინიშნა განსასჯელ თ.ქ.-ს ადვოკატად სავალდებულო წესით, სახელმწიფოს ხარჯზე. ადვოკატმა მ.მ.-მ მონაწილეობა მიიღო თ.ქ.-ს საქმესთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო პროცესში განსასჯელ თ.ქ.-სთან შეხვედრისა და მასთან დაცვის პოზიციის შეთანხმების გარეშე. ადვოკატი მ.მ. მივიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განსასჯელ თ.ქ.-სთვის ინფორმაციის მისაწოდებლად 2011 წლის 11 ნოემბრის სხდომის დასრულების შემდეგ. თ.ქ.-მ უარი განაცხადა მასთან შეხვედრაზე. ადვოკატი მ.მ., დასკვნითი სიტყვის მომზადების, ასევე, სასამართლოს განაჩენის ჩაბარების შემდეგ, მივიდა თ.ქ.-სთან შესახვედრად, მაგრამ თ.ქ.-მ არ მოისურვა მასთან შეხვედრა. ადვოკატი მ.მ. ბრალდებულ თ.ქ.-ს სისხლის სამართლის მასალებს გაეცნო 2011 წლის 9 ნოემბერს 3 საათისა და 8 წუთის განმავლობაში.

2. პროცესუალური ისტორია

2011 წლის 14 და 16 ნოემბერს ბრალდებულმა ადვოკატმა თ.ქ.მ, ადვოკატებმა მ.ჯ.-მ, ქ.ვ.-მ, ე.ჩ.-მ, გ.ნ.-მ და გ.მ.-მ საჩივრით მიმართეს ს.ს.ი.პ. “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” ეთიკის კომისიას და მოითხოვეს ადვოკატ მ.მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატ მ.მ.ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, სსკ-ის 44 მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც ადვოკატს უფლება არ აქვს იმოქმედოს ბრალდებულის მითითებებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის “ა” და “ბ” პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვისა და მე-8.5 მუხლი.

საპროცესო კოლეგიამ 2011 წლის 21 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ.მ.ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ მ.მ.ის მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის “ა” და “ბ” პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვისა და მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

3. სამართლებრივი ანალიზი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ.მ.ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა. ადვოკატს დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.

შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს მოვალეობები პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულებისა და ეთიკის ნორმების განუხრელად დაცვის შესახებ. ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის “ა” და “ბ” პუნქტების თანახმად, ადვოკატო ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.



ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი მ.მ. სასამართლო პროცესამდე სათანადოდ არ გაეცნო საქმის მასალებს და მოუმზადებელმა მიიღო მონაწილეობა 2011 წლის 11 ნოემბრის სასამართლო პროცესში. ასევე, ადვოკატი სასამართლო პროცესის გამართვამდე არ შეხვდა განსასჯელ თ.ქ.ს და არ შეიმუშავა დაცვის სტრატეგია. მან შეგნებულად იმოქმედა თ.ქ.ის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მოახდინა “დაცვის იმიტაცია” რეალურად კი დაცვის გარეშე დატოვა კლიენტი და ხელი შეუწყო მის მიმართ უკანონო განაჩენის გამოტანას. ის ფაქტი, რომ ადვოკატი მ.მ. მივიდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში განსასჯელ თ.ქ.ისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად 2011 წლის 11 ნოემბრის სხდომის დასრულების შემდეგ, არ ამართლებს მის საქციელს, ვინაიდან, მთავარი იყო სწორედ პროცესის დაწყებამდე შეხვედროდა კლიენტს, დაცვის სტრატეგიის სათანადოდ მოსამზადებლად. შესაბამისად, აშკარაა, რომ მან დაარღვია პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების მოვალეობა და ეთიკის ნორმები.

შესაძლოა, ადვოკატის მიერ დარღვეული იყოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვის ვალდებულება. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. სსსკ-ის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადვოკატს უფლება არ აქვს იმოქმედოს ბრალდებულის მითითებებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ადვოკატის მიერ საქმის სათანადოდ არცოდნამ გამოიწვია მის მიერ დაცვისთვის საჭირო მინიმალური მოქმედებების შეუსრულებლობა. მან არ დააყენა საკითხი სასამართლო პროცესიდან გამევეებული თ.ქ.-ს დაბრუნების თაობაზე, სათანადოდ არ აწარმოა მოწმეთა და დაზარალებულთა დაკითხვა, არ მოითხოვა ბრალდებულისა და მისი ადვოკატების მიერ დაყენებულ შუამდგომლობათა განხილვა, არ წამოჭრა მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი, არ მოითხოვა, რომ თ.ქ.ს მისცემოდა შესაძლებლობა ჩვენება მიეცა. ადვოკატმა მ.მ.-მ სასამართლო სხდომაზე საერთოდ არ გამოიკვლია საქმეში არსებული ორი აუდიო დისკი, რომელთა გამოკვლევაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო თ.ქ.-ს ინტერესებისთვის. შესაბამისად, ადვოკატმა მ.მ.მ დაარღვია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვის ვალდებულება.